



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1688  
18/09/2018

ქალაქი ბათუმი

1688-05-4-201809181520



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფში მდებარე 14 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.30.02.199.01.517) სარგებლობის ფორმით, იჯარის წესით აუქციონის გამოცხადების შესახებ**

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №42 განკარგულებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ანა ბაჟაშვილის 2018 წლის 7 სექტემბრის №2613-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **სოფელ სარფში მდებარე 14 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ22.30.02.199.01.517)** სარგებლობის ფორმით, იჯარის წესით განკარგვა განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით;

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **სოფელ სარფში მდებარე 14 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის** საწყისი წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 840 (რვაასორმოცი) ლარის ოდენობით.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **სოფელ სარფში მდებარე 14 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დროებით სარგებლობაში** გაიცეს **სამი წლის ვადით.**

4. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/”ბე” განისაზღვროს 252 (ორასორმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

5. ”ბიჯი” განისაზღვროს 84 (ოთხმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

6. აუქციონში გამარჯვებულმა პირველი წლის მთლიანი გადასახადი უნდა გადაიხადოს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში.

7. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **სოფელ სარფში მდებარე 14 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის** ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ სააუქციონო განცხადება (თან ერთვის).

8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქონების მართვის განყოფილებას (ა.ბაჟაშვილი).

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი #358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

